კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N6-ში, (ს.კ. 01.72.14.032.825) ასაშენებელი სასაწყობე შენობა-ნაგებობის გავლენა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე.

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N6-ში (ს.კ. 01.72.14.032.825) ასაშენებელი სასაწყობე შენობა-ნაგებობა ერთ სართულიანია, გეგმაში Г-სებრი მოხაზულობის, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 88.40x52.60 მ. შენობას გააჩნია ანტისეისმური ნაკერი, რითაც შენობა გაყოფილია ორ ნაწილად. თითოეული ნაწილის გაბარიტული ზომები ღერძებში არის 52.60x50.20 მ; 26.20x37.40 მ. საპროექტო შენობას „1“ ღერძის გასწვრივ მიჯნაზე ესაზღვრება ამავე საკადასტრო ნაკვეთზე მყოფი ერთ სართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობა. „ა“ ღერძის გასწვრივ ესაზღვრება კვირაცხოვლის ქუჩა. „13“ ღერძის გასწვრივ „უ“-„ღ“ ღერძებს შორის ესაზღვრება (ს.კ 01.72.14.032.389) შენობა, რომელიც მოცილებულია საპროექტო შენობიდან 6.9 მ-ით. „ღ“ ღერძის გასწვრივ ესაზღვრება ნაკვეთი ს.კ. 01.72.14.065.022. რომელიც მოშორებულია საპროექტო შენობიდან 7.8 მ-ით.

საპროექტო შენობის საძირკვლები წარმოადგენს ცალკე მდგომ რკინაბეტონის წერტილოვან და ლენტურ საძირკვლებს. მომიჯნავე შენობასთან საპროექტო შენობის „1“ ღერძის გასწვრივ ეწყობა რკინაბეტონის ლენტური ტიპის საძირკველი არსებული საძირკვლის ძირის ნიშნულიდან 50 სმ-ით დაბლა. ლენტური ტიპის საძირკველი ამცირებს გრუნტზე გადაცემულ დატვირთვას არსებულ წერტილოვანი საძირკვლების ქვეშ.

დასკვნა:

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N6-ში, (ს.კ. 01.72.14.032.825) ასაშენებელი სასაწყობე შენობა-ნაგებობა უარყოფით გავლენას არ იქონიებს მომიჯნავე (ს.კ 01.72.14.032.389); (ს.კ 01.72.14.065.022); შენობა-ნაგებობებზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი შალვა მდინარაძე

Sh.mdinaradze@cubicon.ge +995 557 270 270